

შპს „მაქსემ“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2025 წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	6
2 წარდგენის საფუძვლები	6
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	7
4 ფული და ფულის ექვივალენტები	12
5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
6 მარაგები	13
7 სხვა მოკლევადიანი აქტივები	13
8 არამატერიალური აქტივები	14
9 ძირითადი საშუალებები	15
10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
11 საგადასახადო ვალდებულებები	15
12 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
13 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	16
14 საკუთარი კაპიტალი	16
15 ამონაგები	17
16 გაყიდვების თვითღირებულება	17
17 შრომის ანაზღაურება	17
18 ცვეთა და ამორტიზაცია	17
19 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
20 სხვა საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	18
21 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	18
22 მოგების გადასახადი	18
23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	შენ		
გრძელვადიანი აქტივები	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
ძირითადი საშუალებები	37,046	50,437	32,786
არამატერიალური აქტივები	3,917	358	358
სულ გრძელვადიანი აქტივები	40,964	50,795	33,144
მიმდინარე აქტივები			
ძარაგები	3,642,159	1,916,711	1,188,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,068,458	1,737,256	1,972,701
გაცემული ავანსები	399	53,148	42,399
ფული და ფულის ექვივალენტები	76,521	119,927	342,314
სხვა მიმდინარე აქტივები	38,497	0	81
სულ მიმდინარე აქტივები	5,826,035	3,827,041	3,545,495
სულ აქტივები	5,866,998	3,877,836	3,578,640
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3,954,569	3,621,237	3,450,482
რეზერვები	-	-	-
სულ კაპიტალი	3,954,569	3,621,237	3,450,482
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	842,040	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	842,040	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	980,902	231,763	2,059
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9,116	24,576	125,683
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	80,371	260	416
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,070,389	256,599	128,157
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5,866,998	3,877,836	3,578,640

დირექტორი:

თარიღი: 10-07-2025 წ

ე. ყურაშვილი

ლალი ყურაშვილი

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება ზარალი	შენ	2024 წ	2023 წ
შემოსავალი რეალიზაციიდან		2,800,228	2,655,892
რეალიზებული პროდუქციის თვთღირებულება		(1,900,137)	(1,783,111)
მთლიანი მოგება		900,091	872,782
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(166,033)	(132,314)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(12,173)	(7,502)
იჯარის ხარჯი		(89,804)	(73,776)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(72,859)	(60,785)
საოპერაციო ხარჯი		(340,869)	(274,377)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		559,222	598,405
გაუფასურების ხარჯი		-	-
საპროცენტო შემოსავალი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		83,369	41,586
საპროცენტო ხარჯი		(41,685)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(107,169)	(80,747)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(65,485)	(39,161)
მოგება დაბეგვრამდე		493,737	559,244
მოგების გადასახადის ხარჯი		(21,786)	(6,815)
წმინდა მოგება		471,950	552,429

დირექტორი:

ც. ყუროშვილი

ლალი ყურაშვილი

თარიღი: 10-07-2025 წ

შპს მაქსიმ
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალის მოძრაობა

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2022 წ.	0	3,450,482	3,450,482
წმინდა მოგება/(ზარალი)		552,429	552,429
საკუთარი კაპიტალი			
გადახდილი დივიდენდი		(381,674)	(381,674)
31.12.2023 წ.	0	3,621,237	3,621,237
წმინდა მოგება/(ზარალი)		471,950	471,950
საკუთარი კაპიტალი			
გადახდილი დივიდენდი		(138,618)	(138,618)
31.12.2024 წ.	0	3,954,569	3,954,569

დირექტორი:

ლ. ყურაშვილი

ლალი ყურაშვილი

თარიღი:

10-07-2025 წ

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაქსემი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2014 წლის 02 ივლისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 401998629

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია მარიუშ რობერტ მაქსიმიუკ (პოლონეთი) (პ/ნ 700604353, EE3672015, EJ8977341).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

ფორივერკებით საბითუმო და საცალო ვაჭრობას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონში, ცემის ქ. 3.

კომპანიის დირექტორია ლალი ყურაშვილი (პ/ნ 62005004043);

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად, რადგანაც ანგარიშგებას აკლია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, სხვა კომპონენტებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად. მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა „მსს ფასს“, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ბიზნესი საქმიანობა საქართველოში.

2.3 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების „მსს ფასს“ შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

დასახელება	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 ლარს; 2024 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8068 ლარი, ერთი ევრო 2.9306 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით). გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში. ფულის და ფულის ექვივალენტების ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში არსებული ფული გადაანგარიშებულია საანგარიშო წლის ბოლო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების

მიხედვით, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

3.5 გაცემული ავანსები და სესხები.

ავანსები და სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით ან მის გარეშე, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება

დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა
სხვა საოპერაციო ლიცენზიები

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

2-10 წელი
3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესაბამისად გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მონტაჟთან, დემონტაჟთან, ტრანპორტირებასთან და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარებთან.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით..

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი სარგებლიანობის პერიოდის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

საოფისე ავეჯი და ინვენტარი
კომპიუტერული ტექნიკა
ავტომობილები
იჯარით აღებული ქონების
კეთილმოწყობა

5-7 წელი

5 წელი

10 წელი

იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების
ვადას შორის უმცირესი.

ძირითად საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში, როდესაც მოხდა აღიარების შეწყვეტა.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან , თუ მასზე ნაკლებია , მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.11 სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

3.12 გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.13 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

3.14 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდამოშვები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) უკან დაბრუნებით, ფასდამოშვებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი (მომსახურება) და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- ამონაგები საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები შემოვა კომპანიაში და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.15 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.16 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლობები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

3.17 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოთვლებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო

ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. კომპანია არ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

3.18 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განხორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა მიღებული დღგ -ს ჩათვლის გათვალისწინებით. შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) საგადასახადო ვალდებულებად (მიღებული დღგ -ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.19 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე). საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება ანგარიშგების შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

3.20 ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	28427	33622	38458
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45356	52850	59459
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2738	33455	244397
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	0	0	0
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	0	0
სულ	76521	119927	342314

კომპანიის ფულადი სახსრების ოდენობა 2024 წლის განმავლობაში შემცირდა, ამასთანავე კომპანია დროულად ფარავს მომწოდებლის დავალიანებას და სხვა ვალდებულებებს.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2066958	1737256	1972701
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	399	53148	42399
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	1500	0	0
სულ	2068858	1790403	2015101

6. მარაგები

კომპანიის მარაგების 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
საქონელი	3642091	1916711	1188000
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	68	0	0
სულ	3642159	1916711	1188000

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები 2024 წლისთვის გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	61
გადახდილი დღგ	38497	0	20
სულ	38497	0	81

8. არამატერიალური აქტივები

კომპანიას 2024 წლისთვის გააჩნია არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა FINA-ს სახით:

დასახელება	ლიცენზიები	კონტაქტები	პატენტები	ბუღალტრი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 01-01-2023 წ	358	0	0	0	0	358
შემოსვლა	0	0	0	0	0	0
გასვლა	0	0	0	0	0	0
ცვეთა	0	0	0	0	0	0
ნაშთი 31-12-2023 წ	358	0	0	0	0	358
შემოსვლა	3559	0	0	0	0	3559
გასვლა	0	0	0	0	0	0
ცვეთა	0	0	0	0	0	0
ნაშთი 31-12-2024 წ	3917	0	0	0	0	3917

9. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კუთვნილობა	ძირითადი საშუალებების მარაგები	სულ
ნაშთი 01-01-2023 წ	0	0	0	0	0	5633	5528	2153	19473	0	32786
შემოსვლა	0	0	0	0	0	9162	4491	0	11500	0	25153
გასვლა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ცვეთა	0	0	0	0	0	1444	1206	206	4646	0	7502
ნაშთი 31-12-2023 წ	0	0	0	0	0	13350	8813	1947	26327	0	50437
შემოსვლა	0	0	0	0	0	326	6924	0	0	0	7250
გასვლა	0	0	0	0	0	0	0	4807	20828	0	25636
ცვეთა	0	0	0	0	0	2318	2116	-2860	-6569	0	-4995
ნაშთი 31-12-2024 წ	0	0	0	0	0	11358	13620	0	12067	0	37046

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	978777	231763	1668
მიღებული ავანსები	125	0	0
გადასახდელი ხელფასები	2000	0	0
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	0	0	391
სულ	980902	231763	1668

11. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
გადასახდელი მოგების გადასახადი	1054	0	0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	125	0	0
ერთიანი სახაზინო ანგარიში	7914	24524	125682
ქონების გადასახადი	23	52	0
სულ	9116	24576	125683

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის 2024 წლის მოკლევადიანი ვალდებულებები გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
საბაჟო ვალდებულებები	80090	0	0
საპენსიო გადასახადი	281	260	416
სულ	80371	260	416

13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
გასანაღდებელი ობლიგაციები	0	0	0
გასანაღდებელი თამასუქები	0	0	0
გრძელვადიანი სესხები	842040	0	0
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
სულ	842040	0	0

14. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ნულ ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც შედგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. 2024 წელს კომპანიის მიერ მოხდა დივიდენდების გამოცხადება 138618 ლარის ოდენობით და შესაბამისად მისი განაწილება.

15. ამონაგები

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
შემოსავალი რეალიზიციიდან	2891500	2740164
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	91271	84271
სულ	2800228	2655892

16. გაყიდვების თვითღირებულება

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	10769	8207
გაყიდული/შეძენილი საქონელი	1889368	1774904
სულ	1900137	1783111

17. შრომის ანაზღაურება

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
შრომის ანაზღაურება	166033	132314
სულ	166033	132314

18. ცვეთა და ამორტიზაცია

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
ცვეთა და ამორტიზაცია	12173	7502
სულ	12173	7502

19. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	10875	7149
საპენსიო შენატანის ხარჯი	2387	1213
საიჯარო ქირა	89804	73776
კომუნიკაციის ხარჯები	2981	2951
სამივლინებო ხარჯები	1278	215
კომპიუტერის ხარჯები	102	68
საკონსულტაციო ხარჯები	3501	4491
სხვა საგადასახადო ხარჯი	2994	720
საბანკო მომსახურება	12082	6584
კომუნალური ხარჯი	4945	5301
სხვა საერთო ხარჯი	31713	32094
სულ	162663	134561

20. სხვა საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
საპროცენტო შემოსავლები	0	0
საპროცენტო ხარჯები	41685	0
სულ	41685	0

21. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
დივიდენდები	0	0
არასაოპერაციო მოგება	81339	39295
საკუროსო სხვაობის შემოსავალი	1878	1407
დამრგვალების შემოსავალი	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	151	884
სულ	83369	41586

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
არასაოპერაციო ზარალი	94622	78474
საკუროსო სხვაობის ხარჯი	3963	2039
დამრგვალების ხარჯი	0	0
ჯარიმები	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8583	234
სულ	107169	80747

22. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. კომპანიას საანგარიშო პერიოდში მოგება აქვს განაწილებული შესაბამისად 21786 ლარის ოდენობით მოხდა მოგების გადასახადის დარიცხვა.

დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
მოგების გადასახადი	21786	6815
სულ	21786	6815

23. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიბდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.